



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**წიაღის ეროვნული სააგენტო**



KA020171490182918

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

**ბრძანება № 1702/ს**

21 / ნოემბერი / 2018 წ.


**შპს "Cefu Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959522) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001147) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მესამე ნაწილისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტისა და სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2018 წლის 13 ნოემბრის N2140 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

- დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს "Cefu Mining Co., Ltd"-ზე (ს/კ 404959522) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001147) ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადად განისაზღვროს ბრძანების გამოცემიდან ორი თვე;
- ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენის ჩატარების უფლებამოსილება მიენიჭოს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსს - შორენა იოსებიძეს;
- ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს შპს "Cefu Mining Co.,Ltd"-ს და განემარტოს, რომ უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
- ბრძანება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამბადასმულია  
ელექტრონულად 

მაია ზავრაშვილი